

შპს „ჯეო კონცენტრატი“

ს/კ 218077328

*ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის*

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება-ზარალი და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5

შპს ჯეო კონცენტრატი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

თანხები მოცემულია ლარში.

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	19,985	80,124
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		4,742,645	1,767,745
სხვა პირებზე ავანსებად		1,134,825	54,721
მარაგები	4	1,782,306	1,790,494
სხვა მოკლევადიანი აქტივები		184,970	373,256
ძირითადი საშუალებები	3	4,306,175	3,769,308
სულ აქტივები		12,170,906	7,835,648
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		174,823	60,154
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		2,768,039	0
გამომუშავებული შემოსავალი		0	461
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		3,023,229	4,632,734
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		2,425,430	1,704,698
სხვა ვალდებულებები		668	0
სულ ვალდებულებები		8,392,189	6,398,047
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		41,320	41,320
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3,737,397	1,396,281
სულ საკუთარი კაპიტალი		3,778,717	1,437,601
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		12,170,906	7,835,648

დირექტორი: ივანე გოგლიძე

ხელმოწერა:

შპს ჯეო კონცენტრატი

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

თანხები მოცემულია ლარში

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	7	5,959,437	5,553,741
გაყიდვების თვითღირებულება		(3,524,073)	(5,040,755)
საერთო მოგება		2,435,364	512,986
დასაქმებულთა ანაზღაურება		(55,541)	(51,805)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	3	(221,166)	(203,320)
საპროცენტო ხარჯი		(738,141)	(558,349)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	6	(720,450)	(707,141)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,735,298)	(1,520,615)
საოპერაციო მოგება		700,066	(1,007,629)
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		(183,489)	54,005
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		1,048,231	970,481
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		1,564,808	16,857
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		1,564,808	16,857
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		1,564,808	16,857
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		1,437,601	1,420,744
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		776,308	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		3,778,717	1,437,601

დირექტორი: ივანე გოგლიძე

ხელმოწერა:

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა:

შპს „ჯეო კონცენტრატი“ დაფუძნდა 2009 წლის 30 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში. „კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად. მისი რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.გორი, შინდისის გზატკეცილი, №17 კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 218077328

2023 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ანასტასია გოგლიძე (პ/ნ 59001101054)

შპს „კონცენტრატის“-ს ძირითადი საქმიანობაა: ხილის წვენის წარმოება, ბოსტნეულის გადამამუშავება, დაკონსერვება, ეკონომიკური საქმიანობის კოდი: 10320

2. ფინანსურ ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს „შპს ჯეო კონცენტრატის“ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

	31 დეკ 2024	31 დეკ 2023
1 USD/GEL	2.8068	2.6894
1 EUR/GEL	2.9306	2.9753

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა საკუთრების უფლების გადაცემა და გაწეულ იქნა მომსახურება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ყოველთვიურად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გამოყენებულია შემდეგი საექსპლუატაციო ვადები

	სასარგებლო ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	10-25
სატრანსპორტო საშუალებები	8-10
მანქანა-დანადგარები	10-15
ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	5-8

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეუ- ლების ს) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში

3. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

თვითღირებულება	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
ბალანსი 01/01/2024	257,400	955,140	1,348,292	2,590,228	31,407	141,109	459	5,324,035
შემოსვლა	0	787,298	1,742,439	1,000	1,016	6,750	0	2,538,504
გასვლა	0	1,742,438	0	29,078	0	0	0	1,771,516
ბალანსი 31/12/2024	257,400	0	3,090,732	2,562,150	32,423	147,859	459	6,091,023
ცვეთა								
ბალანსი 01/01/2024	0	0	289,366	1,164,805	18,565	94,458	49	1,567,243
ცვეთა	0	0	78,508	133,457	693	8,460	49	221,166
გასვლა	0	0	0	4,575	(1,014)	0	0	3,561
ბალანსი 31/12/2024	0	0	367,874	1,293,687	20,272	102,918	97	1,784,848
ბალანსი 31/12/2024	257,400	0	2,722,858	1,268,463	12,151	44,942	361	4,306,175

4. მარაგები

მარაგები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
საქონელი	38,150	142,496
ნედლეული და მასალები	45,151	496,611
მზა პროდუქცია	1,699,004	1,151,387
სულ	1,782,307	2,083,764

5. ფული და ფულის ეკვივალენტები:

ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ნაღდი ფული სალაროში	831	71,143
ფული საბანკო ანგარიშებზე	19,154	8,981
სულ	19,985	80,124

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
რემონტის ხარჯები	28,641	14,981
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	0	18,093
საბანკო ხარჯი	28,394	28,172
კომუნალური ხარჯი	628,996	479,097
სხვა საერთო ხარჯი	34,418	166,798
სულ	720,450	707,141

7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
პირდაპირი ხელფასი	120,484	88,453
ნედლეული და მასალები	3,403,589	4,952,302
სულ	3,524,074	5,040,755

8. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 23 სექტემბერს. საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი: ივანე გოგლიძე

ხელმოწერა:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
თანხები მოცემულია ლარში.

დირექტორი: ივანე გოგლიძე



შპს ჯეო კონცენტრატი

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

თანხები მოცემულია ლარში

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	7	5,959,437	5,553,741
საერთო მოგება		(3,524,073)	(5,040,755)
დასაქმებულთა ანაზღაურება		2,435,364	512,986
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(55,541)	(51,805)
საპროცენტო ხარჯი	3	(221,166)	(203,320)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(738,141)	(558,349)
სულ საოპერაციო ხარჯები	6	(720,450)	(707,141)
საოპერაციო მოგება		(1,735,298)	(1,520,615)
		700,066	(1,007,629)
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		(183,489)	54,005
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		1,048,231	970,481
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		1,564,808	16,857
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		1,564,808	16,857
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		1,564,808	16,857
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		1,437,601	1,420,744
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		776,308	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		3,778,717	1,437,601

დირექტორი: ივანე გოგლიძე

ხელმოწერა:

8. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 23 სექტემბერს. საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი ივანე ჯოგლიძე



ხელმოწერა: